უფასო

ჩემი გაზეთი

25 აპრილი
2019 წელი

№3 (40)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ქრისტე აღდგა!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღედ გამოცხადდება

მთავრობა პარლამენტს მიმართავს, 12 მაისი ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღედ დაწესდეს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

გასული წლის ბოლოს წმინდა სინოდმა 12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღედ და ეროვნულ დღესასწაულად უკვე გამოაცხადა.

ჯანსუღ ღვინჯილია თავის წიგნში „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“ წერს:

„ღვთისმშობლის წილხვდომილობა ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობის გონებაში გაიგივებულია დაარხეინებული ყოფნის, უსაფრთხო არსებობისა და უეჭველი მფარველობის უზრუნველყოფასთან.

სინამდვილეში ღვთისმშობლის წილხვდომილობა არის ღვთაებრივი საიდუმლო, არის დიდი პატივი, არის ხვედრი ქვეყნისა, მაგრამ, რაკი ხვედრია, უმძიმესი ტვირთიცაა იგი საქართველოსი.

ღვთისმშობლის წილხვდომილობა ქართველ ერს ავალებს განუხრელად იცავდეს ღვთის მიერ ადამიანისათვის დაწესებულ ზნეობრივ კანონებს.

ღვთისმშობელი მხოლოდ ზნეობრივი კანონების ერთგულებისას გვევლინება ივერიის მფარველად, რადგან ზნეობრივი კანონების ერთგული ერი უთუოდ შეიძლებს თავისი ხვედრის ღირსეულ ზიდვას და ქვეყანაც ამ დროს აყვავდება.

ზნეობრივი კანონების მოღალატე ერი ვერ ზიდავს თავის ტვირთს და რჩება ღვთისმშობლის მფარველობის მიღმა. ქვეყანა იწყებს გადაგვარებას და ტრაგედიათა არენად გადაიქცევა.

საქართველოს ისტორიული მოვლენები და ფაქტები ამ ჭეშმარიტებას გვიდასტურებს.“

ავტორი: ჯანსუღ ღვინჯილია
„ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“

ინფრასტრუქტურა

2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები

ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტში. ამ მხრივ არც 2019 წელი წარმოადგენს გამონაკლისს. იმის გასარკვევად, თუ რომელი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება მიმდინარე წელს, „ჩემი გაზეთი“ მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს კახა მსხვილიძეს ესაუბრა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების რამდენიმე წყარო არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდია. აღნიშნული ფონდიდან წელს 11 პროექტის დაფინანსება იგეგმება. ისინი უკვე მოიწონა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გაიარა სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო და შესაბამისად გვსურს დასაფინანსებლად სამთავრობო კომისიაზე წარმოვადგინოთ. სამთავრობო კომისია უკვე გავლილი აქვს 4 მათგანს. ესენია: სოფელ I ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი გზის, სოფელ დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზისა და ფერსათი-შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. აღნიშნულ სამ პროექტზე სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. სოფელ I ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია - 2017 წელს დაიწყო და წელს დასრულდება. მისი სახელშეკრულებო ღირებულება 437 777 ლარია და სამუშაოებს ახორციელებს ამხანაგობა „ჯაგი 2019“. სოფელ დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოებს ამხანაგობა „იმერეთი 2018“ ასრულებს და პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 349 941 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მესამე პროექტს – ფერსათი-შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულებას, იგი 1 626 000 ლარია, ახორციელებს შპს „ბეტკო“ და წელს 3 კილომეტრიანი მონაკვეთის მოწყობა იგეგმება. მეოთხე დაფინანსებული ობიექტი ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციის პროექტია, რომელიც გარდამავალია და გულისხმობს როგორც სახურავის აღდგენას, ისე შენობის შიდა კოსმეტიკურ რემონტსა და გათბობა-კონდიცირების სისტემის მოწყობას. წელს მხოლოდ სახურავის რეაბილიტაცია იგეგმება და იგი დაფინანსებულია 183 436 ლარით. ტენდერი გახსნილია, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება და ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ამ პროექტზეც დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტებიდან საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფში ექსპერტიზაზე გადაგზავნილია 4 მათგანის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (შპს საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახორციელებს როგორც საპროექტო დოკუმენტაციის, ისე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას). ეს პროექტებია: წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა, სოფელ წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრ ეკლესიამდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა, დიმის №2 საჯარო სკოლიდან სოფელ ობჩისკენ მიმავალი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და სოფელ როხში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა. აღნიშნულ პროექტებზე ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღებისთანავე დასაფინანსებლად მივმართავთ სამთავრობო კომისიას. დაფინანსების შემთხვევაში ოთხივე მათგანი წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება. მათი საწყისი ღირებულება 2 800 000 ლარზე მეტია. ასევე მიმდინარეობს ქალაქ ბაღდათში, წერეთლის ქუჩაზე, ე.წ. ყოფილი რაიკავშირის შენობის რეაბილიტაციის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნულ პროექტზე საპროექტო ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გაფორმებულია, პროექტი დამუშავების ეტაპზეა და დამუშავებული ვერსიის მოწოდებისთანავე მონიტორინგის ჯგუფში გაიგზავნება ექსპერტიზისთვის. ამ პროცედურისა და დადებითი დასკვნის მიღებისთანავე ამ პროექტის დაფინანსებასაც მოვითხოვთ. პროექტირების ეტაპზეა სოფელ ფერსათში სასმელი წყლის სისტემის შიდა ქსელის მოწყობა. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2017 წელს გარკვეულ მონაკვეთზე აქ ცენტრალური მაგისტრალი მოეწყო, მაგრამ შიდა ქსელის მოწესრიგება არ იყო გათვალისწინებული. ახლა ეტაპობრივად მოხდება ამ მაგისტრალური ქსელის, ასევე ახლადმოწყობილი და ძველი რეზერვუარების დაქსელვის სამუშაოები. წელს 160 000 ლარის ღირებულების სამუშაოების წარმოებას ვგეგმავთ, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ამ თანხით სოფლის მთლიანი დაქსელვა ვერ მოხერხდება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან იგეგმება ასევე ქალაქ ბაღდათში ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ზონის მოწყობის დაფინანსება. ვფიქრობთ, წელს, ამ პროექტის ფარგლებში, დაკვალვისა და გაიტეტების შერჩევა მოხდა მოსახლეობის მიერ. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 391 180 ლარით.

წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მთავრობის განკარგულებით, განათლების სისტემისთვის გამოიყო 410 000 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში 4 საჯარო სკოლის 5 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. კერძოდ, ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში სველი წერტილის მშენებლობას, სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლაში სპორ-

გაგრძელება მე-2 გვ.

2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ტული დარბაზის რეაბილიტაციას, ფერსათის №2 საჯარო სკოლაში სახურავის აღდგენას, როკითის საჯარო სკოლაში არსებული სველი წერტილის რეაბილიტაციას. ოთხივე პროექტზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს დღეებში ხელშეკრულებები გაფორმდება. ვფიქრობთ, ამავე თანხის ფარგლებში, ფერსათის №2 საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობასაც შევძლებთ.

ჩვენ ყოველწლიურად გვიხდება სტიქიის შედეგებთან ბრძოლა. ჩვეულებრივ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილია გარკვეული თანხა. წელს კი მივიღეთ მიზნობრივი დაფინანსება სტიქიის პრევენციისთვის. ეს არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სტიქიის პრევენციის მიზნით წინასწარი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს. ეს შეარბილებს, საუკეთესო შემთხვევაში კი აღმოფხვრის მოსალოდნელი სტიქიის უარყოფით შედეგებს. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ბაღდათში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ ნაპირსამაგრის მოწყობა. ამ პროექტისთვის 150 000 ლარის ღირებულების სამუშაოები განხორციელდება. პროექტი დამუშავების ეტაპზეა, პროექტანტმა გამოგვიგზავნა თავდაპირველი ვერსია და მონიტორინგის ჯგუფს გადავუგზავნეთ, მაგრამ პროექტანტს შენიშვნების გათვალისწინებით დავუბრუნეთ იგი და კორექტირებულ დოკუმენტაციას ველოდებით მისგან.

გამოჩნდა კიდევ ახალი მიზნობრივი დაფინანსება, ახალი სახელმწიფო პროექტი, რომელიც ადგილობრივი ამბულატორიების რეაბილიტაციას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში 5 სოფლის - ხანის, ვარციხის, როხის, მეორე ობჩისა და ნერგეეთის ამბულატორიების რეაბილიტაცია მოხდება და ამისთვის 130 000 ლარია გამოყოფილი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება ორი პროექტი: ქალაქ ბაღდათში ე.წ. მელიორაციის სისტემის სათავე-ნაგებობასთან მდინარე ხანისწყალზე ნაპირსამაგრისა და წერეთლის ქუჩაზე ღვარსადენის მოწყობა. ორივე პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება შემსრულებელთან. წელსვე დაგეგმილია და შესყიდვა არის გამოცხადებული ბაღდათის საკათედრო ტაძრის მიმდებარე სკვერის შემოღობვაზე. ადგილობრივი ბიუჯეტიდან იგეგმება ასევე კახიანის ქუჩაზე განათების სისტემის გამოცვლა. გასანათებელ მოწყობილობებზე შესყიდვა გამოცხადებულია და ადგილობრივი ძალებით, კერძოდ, ა.(ა).ი.პ. ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების

დახმარებით მოხდება მათი გამოცვლა.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდში დასაფინანსებლად წარდგენილია სოფელ ხანში ცენტრალური ქუჩის მოპირკეთების პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულება 495 000 ლარია და 2 კილომეტრიანი მონაკვეთის მოწყობას გულისხმობს. ვიმედოვნებთ, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც დაგვიფინანსებენ ამ პროექტს.

გარდა ამისა, იგეგმება ქალაქის გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ამისთვის შესაბამისი ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული შპს ჰიდროგეოდეზიურ ცენტრთან. მაისის ბოლოს ველოდებით დოკუმენტაციას სრული სახით, რომელიც გაივლის ექსპერტიზას და, თუ წელს არა, მომავალ წელს მოვითხოვთ პროექტის დაფინანსებას. გვსურს ეტაპობრივად მოხდეს ქალაქ ბაღდათში გზის ზოგიერთი მონაკვეთის რეაბილიტაცია. წელსვე იგეგმება სოფლებში შიდა სასოფლო გზების აღდგენის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ამ უკანასკნელის მომზადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მზად დავხვდეთ მომავალი წლის პროექტებს. ხშირ შემთხვევაში არის ხოლმე სხვადასხვა წყაროდან, ფონდიდან დაფინანსების შესაძლებლობა, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობა და მომზადება. ისიც უნდა ითქვას, რომ მის მომზადებასაც დაფინანსება ჭირდება და თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

წელსვე იგეგმება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დიმის №2 ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომლის შენობაც ამორტიზირებულია, აღსაზრდელები ქალაქ ბაღდათის №2 საბავშვო ბაღშია განთავსებული და მათ ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს.

მარიამ ოქროჭელიძე

წარმატებული ქალბატონები

რუბრიკა ,,წარმატებული ქალბატონები“ ამ თვეში ერთ ძალიან მიზანდასახულ, შრომისმოყვარე და გონიერ ქალბატონს მასპინძლობს. ანა ლემონჯავა 1986 წლის 3 დეკემბერს დაიბადა ბაღდათში. ის წარმოშობით აფხაზეთიდანაა, ომის შემდეგ მისი ოჯახი საცხოვრებლად ბაღდათში დაფუძნდა. გოგონამ ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა და იმავე წელს ჩააბარა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით. იმ პერიოდში ეკონომისტობას გეგმავდა და მათემატიკაშიც ემზადებოდა, მაგრამ, მისი ფიქრით, ინგლისური – მომავლის ენა იყო, აქედან გამომდინარე, პერსპექტიულიც და გადაწყვეტილება სწორედ ამ პროფესიის სასარგებლოდ გააკეთა.

ბაკალავრიის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა მაგისტრატურაზე, ზოგადი ლინგვისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო. 2007 წელს ინგლისური ენის მასწავლებლობის მოსაპოვებლად გასაუბრებაზე გავიდა ფერსათის №2 საჯარო სკოლაში, სადაც დაინიშნა კიდეც და იქ ამჟამადაც მუშაობს. გასაუბრებას ესწრებოდა ამერიკელი მოხალისე ჯეფ ჰააკი, სწორედ მან აარჩია იგი მაღალ კლასებში სამუშაოდ. ამ დღეს ასე იგონებს: პირველი რეაქცია, დიდი სიხარული შიშმა და დაბნეულობამ ჩაანაცვლა. – „გამომივა კი ასეთი საპასუხისმგებლო საქმე?“ წლებმა დაამტკიცა, რომ შეძლო. ანა სწორედ ჯეფ ჰააკთან მუშაობას უმადლის მის შემდგომ განვითარებას. 2008-2010 წლებში, სკოლაში მუშაობის პარალელურად, მუშაობდა მშვიდობის კორპუსში ენისა და კულტურის ფასილიტატორად. იყო და არის მშვიდობის კორპუსის მოხალისეების ქართული ენის მასწავლებელი. ამ პროექტში მუშაობამ მას უდიდესი გამოცდილება შესძინა. 2011 წელს ჩააბარა საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდა და სერტიფიცირებული პედაგოგი გახდა. 2013 წელს მასწავლებელთა სახლმა გააგზავნა ლონდონში კვალიფიკაციის ასამაღლებელ ორკვირიან კურსებზე, სადაც საქართველოდან 10 მასწავლებელი იმყოფებოდა. ის ლონდონში, უიმბლდონის ინგლისური ენის სკოლაში, ესწრებოდა გაკვეთილებსა და ლექციებს. 2017 წლის სექტემბერში პროგრამა TEA (teaching Excellence and Achievement Program) ფარგლებში გაემგზავრა ამერიკაში თვე-ნახევრით, სადაც ნევადის შტატში, ქალაქ რენოს უნივერსიტეტში გაკვეთილებს ატარებდა. მისთვის ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სწორედ სკოლამ აირჩია ფასილიტატორად – სკოლაში მომუშავე ნებისმიერ პედაგოგს უტარებს ტრენინგებს, ეხმარება კრედიტების დაგროვებაში. ანა დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენიებს სკოლის დირექტორს, ქ-ნ ნარგიზა ბუხულეიშვილს, რომელსაც სკოლაში მისვლის დღიდან მისთვის ყურადღება და მხარში დგომა არ დაუკლია. ანა ორი თვის წინ არჩეული იქნა ქალაქის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრად, ახალგაზრდა პედაგოგი ამჟამად დეკრეტულ შვებულებაშია.

აზა მაშანეიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფერმერებთან ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება

როგორც ცნობილია, აზიური ფაროსანა გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებში შედის. ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარებისა და ფანჯრის ღრიჭოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში. მავნებელი აპრილამდე იძინებს. ტემპერატურის მომატების შემდეგ კი კვლავ გარეთ გამოდის, მცენარით კვებასა და გამრავლებას იწყებს.

აქედან გამომდინარე, ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო მავნებელთან ბრძოლის ახალი ეტაპი. მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილების თანამშრომლები მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს სოფლებში, რათა მოსახლეობას გააცნონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს გეგმები ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა მეფუტკრეებთან. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეფუტკრეობის ასოციაციის თავმჯდომარის გოგი ლაკვეხელიანისა და ფაროსანას წინააღმდეგ მებრძოლი მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელის შავლეგო ნონიაძის ვიზიტი და ადგილობრივ მეფუტკრეებთან შეხვედრა.

ბატონმა გოგიმ მეფუტკრეებს, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და რეკომენდაციები მისცა, რომლებიც ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლის დროს შეუძლიათ გამოიყენონ. მუნიციპალიტეტში შექმნილია სპეციალური შტაბი, რომელსაც მერის პირველი მოადგილე კახა ენუქიძე ხელმძღვანელობს. შტაბის წევრები კი არიან: დავით მშვილდაძე, მურთაზ კაცაძე, ბექა ბურჯანაძე, ეკატერინე მშვილდაძე, ნათია ჯანგიანი და ალექსანდრე წიქორიძე.

2019 წელს, წინა წელისგან განსხვავებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მავნებელთან ბრძოლისას სხვა ტაქტიკა აირჩია. თუ 2018 წელს თერმული ნისლით შეწამვლას ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, ახლა ფაროსანასთან საბრძოლველად უპირატესობა „მოიზიდე და მოკალის“ მეთოდს მიენიჭება. როგორც წინა წლის პრაქტიკამ აჩვენა, ამ მეთოდმა უფრო გაამართლა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მონიტორინგის მიზნით დაიკიდა 130 ფერომონი. ფაროსანასთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, საჭიროებისდა მიხედვით, გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები. მავნებლის განადგურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას. წელს მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება თავად დაურიგებს მაცხოვრებლებს ფერომონს, მათ მხოლოდ ზეწრის ხაფანგი უნდა დადგან მათ სავარგულებთან, გზასთან ახლოს, რომლის შეწამვლასაც შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს. სოფლებში ამ პროცესს მონიტორინგს მერის წარმომადგენლები გაუწევენ.

თუ წინა წელს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ატყობინებდნენ მოსახლეობას შეწამვლის დროს და რიცხვს, 2019 წელს თითოეულ მაცხოვრებელს მოკლეტექსტური შეტყობინება მიუვა შეწამვლასთან დაკავშირებით. თერმული ნისლით შეწამვლა საღამოს მოხდება, როცა ფუტკარი სკაში იქნება შესული.

თერმული ნისლით შეწამვლა მაისის ბოლოდან დაიწყება, რადგანაც ფუტკრის ღალიანობა აკაციის ყვავილობის დროს არის და ამ პერიოდში თავს იკავებენ შეწამვლისგან.

მიმდინარე წელს შესაწამლი მანქანები ზესტაფონში, სპეციალურ ცენტრში იქნება განლაგებული და საჭიროების შემთხვევაში ჩამოვა ბაღდათის მუნიციპალიტეტში. მონიტორინგის მიზნით, მანქანებში წამლის ჩასხმის პროცესს ბაღდათის შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოველთვის დაესწრება.

ინფორმაცია მოგვაწოდა მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსმა დავით მშვილდაძემ.

მარიამ ოქროჭელიძე

ნიკო გომელაური

ადამიანი მიდის, მისი შემოქმედება კი რჩება. ნიკო გომელაური წავიდა, მაგრამ მისი შემოქმედება უკვდავია, უკვდავია მისი პოეზია, მის მიერ, თეატრის სცენაზე ნათამაშები როლები. ის იყო მხოლოდ მსახიობი და პოეტი, ასევე სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული უნიჭიერესი ადამიანი.

ნიკო გომელაური დაიბადა 1970 წლის 12 ივლისს ქ. თბილისში.

1992 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი. მუშობდა თავისუფალი თეატრისა და თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული აკადემიური თეატრის წამყვან მსახიობად. მიღებული აქვს ბრესტისა და ტრაპზონის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების პრემია – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, ასევე კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

2001 წელს მისი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა, 2002 წელს – მეორე, 2003 წელს – აუდიოწიგნი, 2004 წელს – მესამე, ხოლო 2008 წელს მე-4 კრებული გამოუშვა.მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ და შვედურ ენებზე. იბეჭდება უცხოეთის პერიოდულ პრესაში. ნიკო იყო მსახიობი, რომელმაც თავისი ერთგული მაყურებელი, საკუთარი ლექსების წყალობით, ასევე ერთგულ მსმენელად აქცია.

„ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულის თვის ვართ გაჩენილები.ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასოდეს გაუფასურდება,” – ეს ნიკო გომელაურის სიტყვებია, რომელიც სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ნიკო წერდა და თამაშობდა სპექტაკლებს მთელი თავისი არსებით, ვინც კი ისმენდა მის ლექსს ან ნახულობდა მის მიერ შესრულებულ როლებს თეტრის სცენაზე, ყველას მხოლოდ ერთი რამ აოცებდა, თუ როგორი ნიჭიერი და როგორი შეყვარებული იყო თავის სამშობლოზე ეს ადამიანი! იგი მარტო პოეტი და მსახიობი არ იყო, ის გმირი და მამულიშვილი იყო! ისე გულიანად კითხულობდა თავის გულიან ლექსებს, რომ აუცილებლად შეგძრავდა შიგნიდან ან შეგაყვარებდა, შეგაძულებდა, გაგამხიარულებდა და სევდიანსაც გაგხდიდა, დაგაფიქრებდა და გაგიტაცებდა ოცნებებში. საოცარი იყო მისი ხმის ტემბრი, მისი ინტონაცია და მოელვარე თვალები, რომელიც წაკითხულ ლექსს თითქოს აკომპანიმენტს უკეთებდა, იგივე ხდებოდა სცენაზეც. ნიკო მთლიანად ითავისებდა როლს და იმდენად სწორად გადმოსცემდა პერსონაჟის ბუნებას და სიტუაციას, რომ მაყურებლისთვის ძნელი გასარჩევი იყო სპექტაკლს უყურებდა, თუ ნიკო გომელაურის ცხოვრებას.

„წავედი... ალბათ მომბეზრდა ბრძოლა,
მომბეზრდა ბრძოლა წისქვილთან ქარის,
ჯდომა, კი არა ნემსებზე წოლა,
აღიარება მომბეზრდა ბრალის.
წავედი... ალბათ არ ღირდა წასვლა,
არც მოსვლა ღირდა, მაგრამ, ხომ მოხდა,
არც გრძნობაზე ღირს ხაზის გადასმა,
არც, თუ გახაზავ იმაზე ოხვრა.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო გომელაურისა და ნინა ჩოდრიშვილის სიყვარულის ამბავი. როგორც ნიკო ამბობდა: არ გამწირა უფალმა, შეისმინა ჩემი თხოვნა და ნინა გამომიგზავნაო. ნამდვილი და არანამდვილი სიყვარული როგორია მე არ ვიცი, თუ ვინმემ იცის ეგებ ვინმემ გამაგებინოს. მე, როცა მიყვარს, მგონია, რომ ის ერთდერთი და ნამდვილია. მიმაჩნია, რომ კაცი არ უნდა იყოს მონა, საშინელებაა მონობა, თუმცა სიყვარულის მონობა სასიამოვნოც არის და აუცილებელიც.

როცა ნინა მოიყვანა ცოლად, ჯვრისწერის შემდეგ, ეს ბედნიერება თეატრის სხვენზე აღნიშნა მეგობრებთან ერთად. შემდეგ კი, რადგან ბინა არ ჰქონდა, თეატრის საგრიმიორო ოთახი ითხოვა და ასე კარგახანს ცხოვრობდა საგრიმიოროში ნინასთან ერთად.

12 აპრილს ნიკო გომელაურს ფონდ „იავნანას“ ღონისძიებაში უნდა მიეღო მონაწილეობა ნინო ქათამაძესთან ერთად. მაგრამ, ავადმყოფობის გამო, მისი ლექსები სცენაზე მისმა მეგობრებმა წაიკითხეს. ხოლო „იავნანას“ ფონდმა მისი სახელით სამ მრავალშვილიან ოჯახს „თბილი სახლი“ გადასცა. „მე მინდა მქონდეს თბილი სახლი“ – ეს სლოგანი ნიკო გომელაურს ეკუთვნის.

13 აპრილს კი, გამთენიისას, მსახიობი და პოეტი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

ალბათ, რამდენი რამ შეეძლო გაეკეთებინა კიდევ მას თავისი საყვარელი ხალხისთვის... რამდენი დაეწერა ან რამდენი როლი უნდა ეთამაშა კიდევ სცენაზე. მაგრამ დრომ გაწირა ის, გაწირა საათმა, რომელმაც ისრები დროზე ჩქარა დაატრიალა, თითქოსდა, ნიკოს საწინააღმდეგოდ. 13 აპრილს კი ეს საათი გაჩერდა და გაჩერდა ნიკოს გულიც, რომელიც მთლიანად მიყურადებული იყო ამ საათის წიკწიკს - აღარ ფეთქავდა...ამ ხანმოკლე დროის მანძილზე კი მან შექმნა ლეგენდა, შექმნა ისტორია, რომელსაც ჰქვია „ნიკო გომელაურის გზა“, გზა პოეზიისკენ, გზა თეატრისკენ და ზოგადად ნიჭიერებისკენ, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან მოულოდნელად და უდროოდ დასრულდა. თუმცა მისი შემოქმედება მის ერთგულ მკითხველს თუ თეატრის მოყვარულს ყოველთვის გვემახსოვრება და ვეღარ დაგვავიწყდება! გვემახსოვრება გზა, რომელიც მიდის ნიკო გომელაურის შემოქმედებასთან! მისი შემოქმედება კი უკვდავია!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲥᲔᲒᲐᲫᲔ

---

14 აპრილი – ეროვნული ენა



როგორც დიდი ილია მართალი (ჭავჭავაძე) ამბობდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“

როგორც ვხედავთ დიდი ილია ქვეყნის ერთ-ერთ საუნჯედ ენას მიიჩნევს.

ენა ნებისმიერი ქვეყნისათვის და თავისთავად საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საუნჯეა. სწორედ ენის ირგვლივ ტრიალებს ილია ჭავჭავაძის ორი საუნჯეც. ენის გარეშე არც მამული გვექნებოდა და არც დღევანდელი სარწმუნოება.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ლეონტი მროველის გადმოცემით ქართული ენა პირველად განავრცო ფარნავაზმა. „ამან განავრცო ენა ქართული და არღა რა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა.“

საქართველოს ისტორიის განმავლობაში ქართულ ენას პირველად აშკარა ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის იმპერიამ, მაგრამ XIX ს-ის 60-იან წლებში გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის იმპერიულ ზრახვებს ქართულ ენასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმედება ქართული ენის დაცვის საქმეში იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება (1879-1885წწ). ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის მიერ „დედა ენის“ შექმნას, რომელზეც თაობები აღიზარდნენ.

ქართული ენისათვის ბრძოლა საბჭოთა კავშირის დროსაც გაგრძელდა. 1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა, რაც, დროთა განმავლობაში, აუცილებლად გამოიწვევდა მოკავშირე რესპუბლიკების ასიმილაციას.

ქართულმა საზოგადოებამ თავიდანვე გააცნობიერა ეს საფრთხე და 1978 წლის აპრილში დაიწყო გამოსვლები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები. მშვიდობიანი აქცია დაიწყო თსუ-დან და გაგრძელდა უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ.

ეს იყო პირველი, ყველაზე მაშტაბური, მშვიდობიანი აქცია საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ქართული ენის დასაცავად მთელი საქართველო გაერთიანდა. აქცია იმდენად მრავალრიცხოვანი და შეუპოვარი იყო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა იძულებული გახდა, 14 აპრილს დათმობაზე წასულიყო და კანონი ქართული ენის შესახებ გაეუქმებინა.

ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება. ამ დღის აღსანიშნავად 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა.

ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠ ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ

ბუნებრივია, რომ ექიმების ოჯახში გაზრდილ ქალს თავის პროფესიად ექიმობა ამოერჩია (ნელი ხარაბაძე).

ჩვენ, შვილები ბედნიერები ვართ იმით, რომ ძალიან ხშირად ქუჩაში შემხვედრი ადამიანები მადლობას გვაბარებენ დედასთან. ისინი ამბობენ, რომ მან უმკურნალა, ფაქტობრივად შვილების სიცოცხლე აჩუქა მშობლებს.

დედა მხოლოდ მეან-გინეკოლოგი კი არ არის, არამედ, იგი გახლდათ უსასყიდლო დონორიც. მისი სამედიცინო მოღვაწეობის დროს იყო ასეთი შემთხვევა : მშობლებმა შვილს, რომელსაც მშობიარობის შემდეგ ძლიერი სისხლდენა განუვითარდა, სისხლი არ მისცეს. დედა არც კი დაფიქრებულა, ორივე ხელი ერთდროულად გაუწოდა ექთნებს, რათა მისი სისხლი აეღოთ და გადაესხათ ნამშობიარები ქალისთვის.

ის თავისი პაციენტებისა და თანამშრომლების დიდი სიყვარულით სარგებლობს დღესაც. ექთანმა, მანანა რობაქიძემ წარმოქვა დიდებული სიტყვები: – „ნელი ხარაბაძეს სიცოცხლეში უნდა დავუდგათ ძეგლი“.

ჩვენ, შვილები და შვილიშვილები ვულოცავთ 92 წლის დედას და ბებიას იუბილეს. დათუნა ულოცავს მოსკოვიდან, სადაც ბაკულევის სახ. კლინიკაში წარმატებულად გადის რეზიდენტურას კარდიოქირურგიაში. ზურა, მისი უფროსი შვილიშვილი ბაღდათიდან, ხოლო ნინიკო ისრაელიდან თავისი დაწერილი ლექსით ულოცავს.

ნელი ხარაბაძემ ღირსეული წვლილი შეიტანა იმ სათნოების ტაძრის მშენებლობაში, რასაც პაციენტის სიცოცხლის სადარაჯოზე ყოფნა ჰქვია.

ჩემს ბებიკოს!
მარტის თვის პირმშოვ,
გაზაფხულის ნაზო ყვავილო,
შენით ვარსებობთ, შენით
ვცოცხლობთ, შენით ვივსებით.
შენ ხარ ქალღმერთი სხვა
ქალთა შორის
და ნომერ პირველ ქალთა ექიმად
დღესაც ითვლები.
გამჭრიახობა, ჰუმანიზმი,
ნიჭი, სიკეთე,
ესენი შენი პიროვნების თვისებებია.
ღმერთო მადლობა შენ
ჩვენს ოჯახში
ასეთი ქალი გამოიმეტე.
ბევრჯერ გიბრძოლია
სისხლში ამოსვრილს,
პაციენტების სადარაჯოზე
სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად
საკუთარს დებდი მუდამ
სასწორზე.
ქვეყნის სიყვარულს გულით
ატარებ,
სული შემოგრჩა ისევ ხალასი
ერთი სიცოცხლე შენთვის
არ კმარა
სიცოცხლე გინდა ასი, ათასი.

ᲜᲘᲜᲘᲙᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

სპორტი

12-14 აპრილს ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში გაიმართა საქართველოსა და სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონის თეიმურაზ ვაშაყმაძის მეორე საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი 2001-2003, 2007-2008 და 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონებიდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სპორტსმენები. ტურნირის შედეგად ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ადგილის მფლობელები გახდნენ ნიკოლოზ მშვილდაძე და ფრიდონ კარკაძე;

II ადგილზე გავიდნენ თეიმურაზ კიკნაველიძე და საბა სახამბერიძე;

III ადგილი კი საბა შანავამ, გიორგი გუმბერიძემ, გურამ გიგაშვილმა, ამირან კაპანაძემ და ალექსანდრე კოხოძემ დაიკავეს.

82კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა და თეიმურაზ ვაშაყმაძის სახელობის თასი გადაეცა ნიკოლოზ მშვილდაძეს, რომელიც ასევე არის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ვიცე-ჩემპიონი.

ტურნირის მიზანი იყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობის პოპულარიზაცია, მისი განვითარება, ასევე ახალგაზრდა სპორტსმენების წარმოჩენა, მათი დაახლოვება და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატების შერჩევა.

აღდგომა სხვადასხვა ქვეყანაში

ქრისტეს აღდგომას მსოფლიოში არა აქვს აღნიშვნის ზუსტი თარიღი, ყოველ წელიწადს ანგარიშობენ სპეციალური საეკლესიო კალენდრით და ემთხვევა გაზაფხულს. მართმადიდებლები და კათოლიკეები აღდგომას სხვადასხვა დროს აღნიშნავენ, თუმცა სააღდგომო მილოცვა, კონფესიების თუ ენების განსხვავების მიუხედავად: „ქრისტე აღდგა!“ – „ჭეშმარიტად აღდგა! უცვლელია.

ქრისტიანობის დასაწყისიდან აღდგომას ზეიმობდნენ იუდეური კალენდრით, რომელიც იწყებოდა „ნისანი“-ს თვის თოთხმეტში. „ნისანი“ – ებრაული კალენდრით წარმოადგენს წელიწადის პირველ თვეს და გრეგორიანული კალენდრის მიხედვით ემთხვევა მარტს ან აპრილს. მეორე საუკუნეში (ქრისტეს შობიდან), ეპისკოპოსმა სიქსტუსმა, რომელიც მეთაურობდა რომის ეკლესიას 116-126 წლებში, აღდგომის თარიღი გადაიტანა „ნისანის“ მეორე დღეს, რათა არ დამთხვეოდა იუდეველთა აღდგომას. ხოლო დღევანდელი ზოგადი წესი, რის მიხედვით ხდება აღდგომის დღის გაანგარიშება, მიღებული იქნა 325 წელს. მოქმედი წესის თანახმად, აღდგომას აღნიშნავენ გაზაფხულის სავსე მთვარეობის პირველ კვირას, მაგრამ არა „გაზაფხულის ბუნიაობამდე“ (21 მარტი).

მართლმადიდებლური და კათოლიკური აღდგომის დღესასწაულის აღნიშნვნა მასშტაბური რეფორმის შემდგომ სხვადასხვა დროს დაიწყეს მე-16 საუკუნიდან. მიუხედავად განსხვავებული თარიღისა, ქრისტეს აღდგომა თითოეულ ქვეყანაში გამოირჩევა სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით.

აღდგომის მთავარ სიმბოლოს გერმანიაში წარმოადგენს კურდღელი. ტრადიციულად კათოლიკეები ზუსტად გერმანიას თვლიან სააღდგომო კურდღლის სამშობლოდ, რომელიც არიგებს საჩუქრებს და მალავს კვერცხებს. კურდღელი კეთდება სხვადასხვა სახის შოკოლადის, ქაღალდის, ხის, პლუშის, ცვილის კომპოზიციებით. სააღღდგომო დღესასწაული გერმანიაში იწყება ე.წ. „მწვანე ხუთშაბათს“ – ამ დღეს ყველა საკვები მწვანეა. კვირა დღეს, გერმანელები აწყობენ ლხენას ცხვრის ხორცისგან დამზადებული კერძებისგან. ხოლო ბავშვები ერთობიან კვერცხების ძებნით, რომლებიც კურდღელმა დამალა.

კათოლიკე ინგლისელებისთვის აღდგომა ყველაზე სათაყვანო დღესასწაულია. ტრადიციულად კვირა დღეს ინგლისელები მიდიან წირვაზე კალათებით სავსე კვერცხებითა და ტკბილეულობით. დიდ ბრიტანეთში მიღებულია ახალი ტანსაცმლის ჩაცმა, სახლებს კი ამშვენებენ ნარცისებითა და თეთრი ლილიებით.

ტრადიციის მიხედვით, გერმანიის მსგავსად, ავსტრალიაში სააღდგომო კვერცხებს შაქრისგან ან შოკოლადისგან ამზადებენ. მაგრამ არა კურდღელს, არამედ

მაჩვის მსგავს ცხოველს სახელად ბილბის, რომელსაც მოაქვს საჩუქრები. ავსტრალიელები იკრიბებიან დიდ სადღესასწაულო სუფრაზე, სადაც ძირითად კერძი შემწვარი ხორცია, დესერტად კი ჰარეოვანი ბეზეს ტორტი მორთული ანანასითა და მაყვლით.

აღდგომის აღნიშვნის აუცილებელ სიმბოლოს საფრანგეთში წარმოადგენს წითლად შეღებილი კვერცხი. წითელი კვერცხის ჩუქება მიღებულია ახლობლებისთვის თუ უცნობებისთვის. ხშირად აღდგომის დღეს ფრანგები აწყობენ პიკნიკებს და მიირთმევენ შემწვარ კვერცხს, ხოლო ოჯახში სუფრაზე შემწვარ წიწილას და შოკოლადის ღვეზელებს.

პოლონეთში, აღდგომის კვირა დღეს, დილის საუზმეზე იკრიბებიან ოჯახის წევრები და მიირთმევენ ბატკანს. შეღებილი კვერცხების გარდა მთავარ სიმბოლოს წარმოადგენს თვით პასკა, რომელიც დამზადებულია სლავური ტრადიციების მიხედვით. მეორე დღეს კი „სველი ორშაბათია“ - მოსახლეობა წყალს ასხამს ერთმანეთს. თვლიან, რომ წყალი ბედნიერების, ბარაქის, ჯანმრთელობის მომტანია.

მრავალეროვნულ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღდგომას ზეიმობენ დიდი მასშტაბით. კვირა დილას ამერიკელები ოჯახებით მიდიან ტაძრებში. ბავშვები ტრადიციულად იღებენ საჩუქრად კალათებს სავსე კვერცხებითა და ტკბილეულობით. კლასიკური ამერიკული სუფრა ხილის სალათისგან, ანანასიანი ლორისა და კართოფილისგან შედგება. აღსანიშნავია სააღდგომო გართობა -კვერცხების დაგორება თეთრი სახლის წინ განლაგებულ მწვანე მინდორზე. ბავშვებს მოაქვთ სააღდგომო კვერცხებით სავსე კალათები და აწყობენ შეჯიბრებას, რომელშიც თვით პრეზიდენტი და ოჯახის წევრები იღებენ მონაწილეობას.

იტალიელი ხალხისთვის აღდგომა ერთ-ერთი უსაყვარლესი დღესასწაულია. აღნიშნავენ როგორც ოჯახურ გარემოში, ასევე ტრადიციულ სააღდგომო წირვაზე ვატიკანის მთავარ მოედანზე. სუფრისთვის ამზადებენ შემწვარი ცხვრის ხორცს, ყველის კულიჩს, ნეაპოლიტანურ ღვეზელსა და კოლომბას (მართმადიდებლების პასკის მსგავსი მკვეთრად გამოხატული ლიმონის გემოთი). მეორე დღეს იტალიელები აწყობენ პიკნიკებს მეგობრებთან ან მეზობლებთან ერთად.

ესპანეთში აღდგომის დღის დადგომამდე აღნიშნავენ ვნების კვირას. ამ დრესასწაულს „სემანტა სანტა“ ჰქვია და იგი 7 დღის განმავლობაში მიმდინარეობს ქუჩაში სვლით, რომელსაც „მომნანიებლის სვლას“ უწოდებენ. ცოტა არ იყოს, სანახაობა შემზარავია ტურისტებისთვის. კვირას მოსახლეობა მიდის ტაძრებში სააღდგომო წირვაზე, საღამოს კი იკრიბებიან ოჯახის წევრებთან ერთად, მიირთმევენ კვერცხებსა და სააღდგომო ღვეზელს.

ფინეთში ყველა ქრისტიანული განშტოება: კათოლიკეები , მართმადიდებლები და ლუთერანელები ერთდროულად აღნიშნავენ ქრისტეს აღდგომას. აქაც ეძებენ ბავშვები კურდღლის დამალულ კვერცხებს. საინტერესოა ფინური სააღდგომო ტრადიცია - „კუდიანების“ ფესტივალი. მონაკვეთს, დაწყებული წითელი პარასკევიდან აღდგომამდე, უწოდებენ ჯადოქრულს, ამიტომ ბავშვები შესაბამისად იმოსებიან, ქუჩებში მსვლელობისას გამვლელებს კანფეტებსა თუ ტკბილეულს თხოვენ.

აღდგომოს კვირას პორტუგალიის ყველა ქალაქის წმინდა ადგილები მორთულია ქათქათა თეთრი ყვავილებით, ხოლო კათოლიკობის ცენტრი „ბრაგა“ მთლიანად სითეთრეშია, რადგან მანდ მიმდინარეობს მთავარი სააღდგომო ღონისძიებები. ხოლო აღდგომოს წინ ეწყობა სვლა პალმის ტოტებით. ერთი უჩვეულო ტრადიციაა ამ ქვეყანაში – „იუდას დაწვა.“ ამზადებენ ფიტულს, რაზეც კიდებენ კანფეტებს, ბავშვები ძვრებიან ფიტულზე და კრეფენ ტკბილეულობას, როგორც კი ჩამოცლიან, „იუდას“ საზეიმოდ წვავენ.

ქრისტეს აღდგომას მართმადიდებლები აღნიშნავენ იულიუსის კალენდრის მიხედვით. საქართველოსთან ერთად ზეიმობს: რუსეთი, მოლდავეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, სერბეთი, ბელორუსია. მთლიანობაში, ჩამოთვლილი ქვეყნების სააღდგომო ტრადიციები ემთხვევა ერთმანეთს, სადაც მთავარი სააღდგომო სიმბოლო პასკა, წითელი კვერცხები და ღვინოა. თუმცა გამონაკლსს სერბეთი წარმოადგენს. ქვეყანაში პასკის ტრადიცია არ არსებობს. სააღდგომო სუფრაზე ნაციონალური კერძების გარდა, უხვადაა სხვადასხვა სახის შემცვარი ხორცი. ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობას შემწვარი ბატკნის ხორცს ანიჭებენ. ყველა ქვეყნის მართმადიდებლები აღდგომას ხვდებიან ტაძრებში და სააღდგომო წირვას ესწრებიან დილამდე. კვირა დღეს ოჯახები იკრიბებიან სუფრაზე. წითელი ღვინით სავსე აწეული ჭიქა, სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული სიტყვები კვლავ უცვლელია: „ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!“

ნინო სახამბერიძე

მაია გუბელაძის წიგნის „გზა დიდებისაკენ“ პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ გულწრფელი კმაყოფილება გამოვხატო და უღრმესი მადლობა ვუთხრა ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზატორებს, რაიონის გამგეობასა და საკრებულოს ხელმძღვანელობას, მის უშუალო შემოქმედს მაია გუბელაძეს.

მადლობა თქვენ, შრომითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ ბაღდათის მკვიდრთ, რომლებმაც დღევანდელი შეკრებით, ერთხელ კიდევ დაამტკიცეთ, თუ რაოდენ დიდ პატივს მიაგებთ საქართველოსა და თქვენი კუთხის ღირსეულ შვილთა დამსახურებას, რომელთა შორის ერთ-ერთი რჩეული ბატონი კონსტანტინე - კოტე ფოცხვერაშვილია. პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული, ხალხური მუსიკალური ხელოვნების განვითარება-აღორძინებას მიუძღვნა და მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენი ხალხური სიმღერები და მუსიკალური საკრავები, „ველურ ხმათა ნაკრები“ კი არა, მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი საოცრება, საუნჯე და განუყოფელი ნაწილია. დღეს აქ ბევრი ითქვა ბატონი კოტეს შემოქმედებაზე, რომლის გვირგვინს მისსავე ტექსტზე შექმნილი დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ჰიმნი „დიდება“ წარმოადგენს, რომელსაც გზა, მისივე სიტყვებით: „სადიდებელი ქართული ერისა, იმღერე ოქროსანო“ დაულოცა.

ბატონი კოტე იყო ქართული, ხალხური მუსიკალური შემოქმედების ქურუმი, ამაგდარი ამაღორძინებელი, მსოფლიო ასპარეზზე მისი გატანის პირველი გზამკვლევი, მრავალ გამოგონებათა ავტორი, მაშინდელ საბჭოეთში უდიდესი გამოცდილების მქონე, ქართველ მეჩონგურე ქალთა ანსამბლის დამაარსებელი, ანსამბლისა, რომლის ძირითად ბირთვს მისი ოჯახის წევრები, ანსამბლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ქალბატონი ალექსანდრა, შვილები: ნათელა და ელენე (დოდო) წარმოადგენდნენ. ეს იყო დიდი შემოქმედებითი ოჯახი, რომელთა დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე, მეტად საინტერესოდ, შთამბეჭდავადაა ასახული ქალბატონი მაია გუბელაძის წიგნში „გზა დიდებისაკენ“. წიგნი, რომელსაც მრავალ ღირსებათა შორის ახალგაზრდობისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფუნქციაც აქვს, რამეთუ მასში, ბატონი კოტეს განვლილი გზით, ხაზგასმითაა ნათქვამი, უდიდეს შეჭირვებულ პირობებშიც კი რა ძალა აქვს სულიერი სიმხნევისა და სიძლიერის შენარჩუნებას, თავდაუზოგავ შრომასა და სწრაფვას დასახული მიზნის მისაღწევად.

ქალბატონო მაია, უღრმესი მადლობა თქვენ იმისთვის, რომ სოფელ წითელხევში, თქვენივე ხელდადებით ჩამოყალიბებული ბავშვთა ხელოვნების სკოლა ბატონი კოტეს სახელს ატარებს. სკოლა, რომლის აღსაზრდელთა შემოქმედების ხილვა შთაგაგონებთ, რომ მის ღვაწლს დამფასებელი, ხოლო საქმეს გამგრძელებელი ეყოლება, რომ უკვალოდ არ ჩაივლის „გზა მისგან თელილი“ და ბაღდათის კურთხეულ მიწაზე კვლავაც დაიზრდებიან კოტე ფოცხვერაშვილები, რევაზ ლაღიძეები და ჯანსუღ კახიძეები.

ჩემი სიტყვის შესავალში ვთქვი, რომ თქვენ ბაღდათელებს გეხელმწიფებათ ღირსეულ წინაპართათვის პატივგება, რისი ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ სოფელ მეორე წითელხევის საჯარო სკოლაც ბატონი კოტეს სახელს ატარებს. სკოლა, რომელიც დირექტორის ბატონი ლუხუმ ლელაძის გულისხმევით, რაიონში ერთ-ერთი მოწინავე სასკოლო დაწესებულებაა.

ქალბატონებო და ბატონებო!

ამ ტრიბუნასთან მდგომს, ფუძეთა-ფუძით თქვენი რაიონის მკვიდრს, უფლება არა მაქვს, ის დიდი სითბო და პატივისცემა არ გამოვხატო, რაც ბაღდათისა და ბაღდათელების მიმართ გამაჩნია.

მინდა გამცნოთ, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა ბაღდათი საქართველოს ერთ-ერთ რეგიონად ჩამოყალიბდა, მამაჩემი ვიქტორ ფოცხვერაშვილი კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი სამამულო ომში საცხოვრებელი ადგილიდან, ბათუმიდან გაიწვიეს, წითელხეველებმა მისი გვარ-სახელი, სოფლის ცენტრში მდებარე, შინმოუსვლელთა ობელისკზე ამოტვიფრეს.

მადლობა თქვენ ბაღდათელებო, ქართული, იმერეთისათვის დამახასიათებელი ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებათა ესოდენ ლამაზად და სრულყოფილად შენარჩუნებისათვის. თქვენ ხომ ის ხალხი ბრძანდებით, სადაც ერთი ოჯახის სტუმარი მთელი სამეზობლოს სტუმრადაა მიჩნეული. სადაც გზად მიმავალ მწყურვალ სტუმარს შინ შეიპატიჟებთ და წყლის მაგივრად ღვინოს სთავაზობთ. ამიტომაცაა, რომ თქვენი მონამორჩილის სადაურობით დაინტერესებულთა მიმართ ყოველთვის ცალსახა პასუხი მაქვს: რომ მე, ფუძით ბაღდათელი, სამტრედიელი ვარ.

ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ. სამტრედიაში, ჩემს სახლში, ღვინისთვის გამოყოფილ ერთ პატარა კუთხეში, წითელხევში დაწურულ ღვინოს საპატიო ადგილი უკავია და იგი მხოლოდ ზესაპატიო სტუმართათვისაა განკუთვნილი; ასე რომ მესტუმრეთ, გელით წრფელი გულითა და გაშლილი ხელით: ამასთან გთხოვთ გაითვალისწინეთ, სტუმრობა დროულად შედგეს, რადგან მე უკვე ოთხმოცდაოთხი წლისა ვარ.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

უფალი გფარავდეთ!

ბორის ფოცხვერაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე, აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლოაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“